განკარგულება:**g-135. 135223633**
თარიღი:**29/12/2022**

მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების (შენობების) საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის

უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 მუხლების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლისა და საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის 2022 წლის 08 ნოემბრის N1000395 5 22 00515437 განცხადების საფუძველზე
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. მიეცეს თანხმობა მესტიის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს, მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, შემდეგ საკადასტრო კოდებზე არსებული შენობა-ნაგებობები (ამბულატორიები):
1) 42.08.50.009 -ლატალის ადმინისტრაციული ერთეული, სოფელი იენაში (ამბულატორიისთვის განკუთვნილი ფართი 61.62 კვ.მ);
2) 42.13.31.028.016 -ლახამულას ადმინისტრაციული ერთეული, სოფელი ლახამულა (ამბულატორიისთვის განკუთვნილი ფართი 30 კვ.მ);
3) 42.14.44.009 - ნაკრად ადმინისტრაციული ერთეული სოფელი ნაკრა (ამბულატორიისთვის განკუთვნილი ფართი 73.7 კვ.მ);
4) 42.01.33.003 - უშგულის ადმინისტრაციული ერთეული, სოფელი ჩაჟაში (ამბულატორიისთვის განკუთვნილი ფართი 38.12 კვ.მ);
5) 42.03.33.031 -წვირმის ადმინისტრაციული ერთეული, სოფელი წვირმი (ამბულატორიისთვის განკუთვნილი ფართი 28.1 კვ.მ);
6) 42.15.33.002 - ჭუბერის ადმინისტრაციული ერთეული, სოფელი ლეწფერი (ამბულატორიისთვის განკუთვნილი ფართი 45.05 კვ.მ);
უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით.
2. მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს მესტიის მუნიციპალიტეტის

მერიას.

3.განკარგულება ძალაში შევიდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54–ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ.ზუგდიდი გრ.ქობალიას ქ №12ᵃ).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი